




# უნივერსიტეტი



Universitas

# Universitas



# უნივერსიტეტი



*'University is an entirely different creation; the sciences and trends presented here possess many sidedness and diversity. Due to the scientific tests and degrees, the talented, daring and vigorous youths work shoulder to shoulder with the wise, outstanding, experienced scientists. Besides, the University is a higher scientific institution as well as a higher school for acquiring scientific knowledge, where the young, the future generations, under the tutorship of experienced scientists acquire deep knowledge, get familiar with the scientific work and research, eventually becoming a part of the scientific body. Here, spiritual bond between the scientists and the future generations is strong. The vigorous flow of science is transformed into an infinite, vital force.'*

*Ivane Javakhishvili*

„სულ სხვა უბოგუნსივე: აქ მკაცრიგან მარჯოს თავის  
მარჯალმნიობითა და მარჯალთეგნიობითა სუთვეს; ყველას თავ-  
ის დომარყოფითა, სემკაცრიგან გამარჯობის და ხარისხების წყ-  
ალმითა, იქ ვითარა მარჯალთეგნიობის სიკაცობითა, ხარისხის და ვამბე-  
რამითა სესე სხალთეგნიობის მკაცრიგან და სიმამხის მამბერად  
ვამბეგნიობის ვამბეგნიობის მკაცრიგან. უბოგუნსივე ამასთანვე  
უძალთესი სემკაცრიგან დასვეგნიობის სიმის და იმვე რამის უძ-  
ალთესი მკაცრიგანის სესვეგნიობის, სესე მამხარის სხალთეგ-  
ნიობის და ქმნიხი, მამხარის თამის მკაცრიგან-მკაცრიგანის მამ-  
რანიგანითა და ხელმძღვანელმითა უძალთესი მკაცრიგანის ითვისების,  
სემკაცრიგან მუშაობის ვხვევს და თხარათხ მის თხარათხმირ ხრე-  
ბის. აქ მხარის სულოგნი ივემის მკაცრიგანის და მამხარის თამის  
შობის. აქ მესამეგნიობის ხრებ მკაცრიგანის სხალთესი, მკაცრიგან-  
გნიობის მამხარისობის და მკაცრიგანის რამვეგნიობის, სესე მამხარის  
სიმის ქვეყლი.

იქ. მკაცრიგან





## უნივერსიტეტის მთავარი შენობა

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მთავარი შენობა თავდაპირველად თბილისის ქართული გიმნაზიისთვის აიგო. მოგვიანებით, 1918 წლის 26 იანვარს, ამ შენობაში პირველი ქართული უნივერსიტეტი გაიხსნა...

## UNIVERSITY MAIN BUILDING

The main building of Tbilisi State University was initially built for Tbilisi First Gymnasium. Later, on January 26, 1918, the first Georgian University was opened in this building...



მშენებლობის ორგანიზატორი იყო ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწე, პედაგოგი და პუბლიცისტი ნიკო ცხვედაძე (1845-1911 წწ.).

სასულიერო სემინარიის დამთავრებისთანავე ნიკო ცხვედაძე, როგორც საუკეთესო კურსდამთავრებული, სასწავლებლად მოსკოვის სასულიერო აკადემიაში გაიგზავნა სახელმწიფოს ხარჯით. 1870 წელს, დისერტაციის წარმატებით დაცვისა და ღვთისმეტყველების კანდიდატის ხარისხის მიღების შემდეგ, პედაგოგიური მოღვაწეობა დაიწყო თბილისის სასულიერო სემინარიაში. იაკობ გოგებაშვილთან ერთად, სემინარიის რეფორმის პროექტი შეადგინა, რომლის თანახმად, ქართული ენის დამოუკიდებელ კათედრას უნდა გაეერთიანებინა ქართული ენის გრამატიკის, ქართული ლიტერატურის ისტორიისა და საქართველოს ისტორიის მიმართულებები. თუმცა ცოტა ხანში პოლიტიკურად არასაიმედო გოგებაშვილი და ცხვედაძე სამსახურიდან გაათავისუფლეს იმის შიშით, რომ ეროვნულ ინტერესებზე ორიენტირებული მათი მოღვაწეობა სტუდენტთა აზროვნებასა და განწყობილებებზე აისახებოდა.

სემინარიიდან დათხოვილი ცხვედაძე ჯერ კერძო გაკვეთილების ხარჯზე ცხოვრობდა, შემდეგ კი თბილისის სამიჯნაო (სამინათმზომელო) სკოლის უფროს კლასებში მუშაობდა დროებით მასწავლებლად. 1874 წლიდან ნიკო ცხვედაძე ისტორია-გეოგრაფიისა და პედაგოგიკის მასწავლებლად დაინიშნა ამიერკავკასიის ქალთა ინსტიტუტში, სადაც 23 წლის განმავლობაში იმუშავა.

მას საქმიანი და მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა იაკობ გოგებაშვილთან, ილია ჭავჭავაძესთან, დიმიტრი ყიფიანთან და სხვა ცნობილ მწერლებთან თუ საზოგადო მოღვაწეებთან, ვისთან ერთადაც იყო „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ ერთ-ერთი ორგანიზატორ-დამფუძნებელი და ხელმძღვანელი.



ნიკო ცხვედაძე გიმნაზიის მშენებლობაზე

Niko Tskhvedadze on the Gymnasium building site

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ნიკო ცხვედაძის მოღვაწეობა „ღარიბ მონაფეთა შემწე თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოებაში“. ამ საზოგადოებამ 1879 წელს თბილისში დააარსა პირველი ქართული სკოლა, რომელიც 1899-1900 სასწავლო წლისათვის თბილისის სათავადაზნაურო ქართულ გიმნაზიად ჩამოყალიბდა. სასწავლებელი, საკუთარი ნაგებობის უქონლობის გამო, ხან ერთ შენობაში იყო შეკედლებული და ხან — მეორეში.

თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოების სხდომაზე 1897 წლის 22 მაისს ნიკო ცხვედაძემ გიმნაზიისათვის საკუთარი შენობის აგების საკითხი წამოჭრა. სხდომაზე მიიღეს დადგენილება, რომლის თანახმადაც, გამგე-კომიტეტს მიწის ყიდვა და სათავადაზნაურო სკოლისათვის შენობის აგება დაევალა.

---

1898 წელს ქალაქის განაპირას, ვერაზე, ვარაზის ხევის გადაღმა, დაახლოებით 6 ჰექტარი მიწა შეიძინეს.

ამ მოვლენასთან დაკავშირებით ჟურნალი “მოამბე“ 1899 წლის პირველ ნომერში წერდა:

---

“ადგილი სკოლისათვის, სივრცით 12 დღიური, უკვე ნაყიდა ვერაზე და სახლის აგებისთვის ფული გროვდება. ეს საქმე მთლიანად იკისრა თავის თავზე ბატონმა ცხვედაძემ. ეჭვი არ არის, რომ დიდი, მეტად დიდი და ძნელი ტვირთი იკისრა ამ პატივცემულმა მოღვაწემ. მაგრამ მისი ერთგულება სა-

ზოგადო საქმისათვის, დაუღალავი შრომა და საქმის ცოდნა თავდება, რომ ეგ საქმე სასურველად დამთავრდება. იმედი ვიქონიოთ, რომ მთელი ქართველობა თანაგრძნობას და შემწეობას აღმოუჩენს ამ კეთილს და საშვილიშვილო საქმეს“.





ფულის დიდი ნაწილი ნიკო ცხვედაძის მიერ კერძო პირებისა და დაწესებულებებისაგან შეგროვდა.

„დიდსა თუ პატარას, ქალსა თუ კაცსა, მდიდარსა თუ ღარიბსა და უეუელას თაჲის შეძლების და გუარად შემოჰქონდათ თეისი მხუედრი ამ საშეილიშილო საქმის აღსაშენებლად. ასეთ დიდებული საქმის აღშენების საქმეში სახელოვანი ადგილი უკავიათ მათა ზუზალაშილეებს, რომელთაც შესწირეს 86 ათასი მანათი. ესენი არიან განსუენებული სტეფანე ზუზალაშილი და მისი ძმეზი ლეუანი, პეტრე და იაკობი... დაუით სარაჯიშვილი, ცნობილი პირი მთელს ქართუელოზაში, დიდათ მოუეარე თაჲის ქეუენის და ერის საქმეებისა... ამათ გარდა სხუათაც ზეერმა შესწირა თაჲის შეძლების და გუარად, უეუელას მოხსენება აჲ არ არის საჭირო, იგინი ამაზედ არც დაგუემდურებთან, უინაიდან მათი პატრიოსანი შესაწირეის მნიშუენელოზა თაჲის გზას არ ჰუარგაეს, იგი ხმარდება წინეზულ მთენს.“

ზაქარია ჭიჭინაძე



The organiser of the construction project was a famous Georgian public figure, teacher and publicist Nikoloz Tskhvedadze (1845-1911).

## NIKO TSKHVEDADZE

On graduating from the theological seminary Niko Tskhvedadze, as the best graduate, was sent to Moscow Ecclesiastical Academy at government expense. In 1870, after successfully defending his dissertation and receiving a Candidate's degree in Theology, Niko Tskhvedadze started his teaching career in Tbilisi Theological Seminary. While working there, together with Iakob Gogebashvili, he drew up a seminary reform project, according to which the Georgian language chair should have united the directions of Georgian grammar, the history of Georgian literature and Georgian history. However, shortly after this, politically unreliable Gogebashvili and Tskhvedadze were dismissed, fearing that their activities oriented to national interests would affect the students' way of thinking and mood.

Tskhvedadze, who had been expelled from the seminary, lived on his private lessons and then started work as a temporary teacher in the upper classes of Tbilisi geodetic school. In 1874, Niko Tskhvedadze was appointed a history and geography teacher in Transcaucasian Women's Institute, where he worked for 23 years.

He had business and friendly relations with Iakob Gogebashvili, Ilia Chavchavadze, Dimitri Kipiani and other noted writers and public figures. He was one of the founders and adminis-

trators of the 'The Society for the Spread of Literacy among Georgians'. Especially noteworthy was Niko Tskhvedadze's activity in the 'Tbilisi Province Nobility Society providing support for poor pupils'. In 1879, this organisation founded the first Georgian school in Tbilisi, which by 1899-1900 academic year was made into Tbilisi Nobility Georgian Gymnasium. As it lacked its own building, the school had to move from one place to another.

On May 22, 1897, at the meeting of Tbilisi province nobility society, Niko Tskhvedadze raised an issue of constructing a separate building for the gymnasium. The decision was made according to which the chief committee was charged with the task of constructing a special building for the school. For this purpose, in 1898, approximately six hectares of land were purchased on the outskirts of the city, in Vera region, beyond Varaziskhevi. In connection with this event the journal 'Moambe' wrote: 'The site for the school has already been purchased in Vera region and the money for its construction is being raised. Mr Tskhvedadze has fully taken the responsibility to settle this problem. There is no doubt that this honourable man has taken on an immensely big and heavy burden, but his devotion to the public affair, his tireless work and knowledge of the matter is the guarantee that this initiative will end favourably. Let us hope that all Georgians will express sympathy and support towards this kind and really ancestral business.'





Most of the money from private citizens was raised by Niko Tskhvedadze.

ძმები ზუბალაშვილები

Brothers Zubalashvili

*'No matter big or small, woman or man, rich or poor, all of them made their own contribution to this ancestral business according to their financial abilities. An outstanding place in such an important case belongs to brothers Zubalashvili who donated 86 000 rubles. They are - the late Stepane Zubalashvili and his brothers Levan, Petre and Iakob... Davit Sarajishvili, a famous person in Georgia, a great lover of his country's and nation's affairs... besides them a lot of other people made their decent donations to this noble cause, it is not necessary to mention all of them here, they won't complain, as their contribution will never be forgotten and it will serve its purpose.'*

*Zakaria Chichinadze*

დავით სარაჯიშვილი  
მეუღლესთან ერთად

**Davit Sarajishvili with  
his wife**





## არქიტექტორი

1898 წელს, ნიკო ცხვედაძის თავმჯდომარეობით, შეიქმნა გიმნაზიის სამშენებლო კომისია, რომლის წევრები იყვნენ ექვთიმე თაყაიშვილი, კონსტანტინე ყავრიშვილი, სვიმონ კლდიაშვილი. 1902 წლიდან ამ კომისიის წევრი ილია ჭავჭავაძეც გახდა. გიმნაზიის მომავალი შენობის პროექტის შედგენა და მშენებლობის ხელმძღვანელობა მიანდეს ახალგაზრდა, მაგრამ უკვე ცნობილ ხუროთმოძღვარ სვიმონ კლდიაშვილს.

## ARCHITECT

In 1898 was established a Gymnasium Construction Commission chaired by Niko Tskhvedadze, whose members were Eqvtime Takaishvili, Konstantine Kavrishvili and Svimon Kldiashvili. Iliia Chavchavadze joined the commission in 1902. A young, but already well-known architect Svimon Kldiashvili was made responsible for the building design and administration.



სვიმონ კლდიაშვილი ეკლექტიზმის ხანის ტიპური წარმომადგენელია. მის შენობებში ვხვდებით როგორც რენესანსულ-ბაროკოს სტილის ფასადებს, XIX—XX საუკუნეთა დამახასიათებელი ინტერპრეტაციით, ასევე საკმაოდ სშირად — მოდერნსაც... მის მიერ დაპროექტებული შენობებიდან დღეს მცირედია შემორჩენილი.


სვიმონ კლდიაშვილმა 1895 წელს მოსკოვის სამხატვრო საზოგადოების ფერწერის, ქანდაკებისა და ხუროთმოძღვრების სასწავლებლის საარქიტექტურო ფაკულტეტი ვერცხლის დიდი მედლით დაამთავრა. პირველ ხანებში იგი კერძო საქმეებზე მუშაობდა კოსტრომაში, ხოლო 1896 წელს სოხუმში ქალაქის ხუროთმოძღვრად მიიწვიეს. მან, ექვთიმე თაყაიშვილთან ერთად, იმოგზაურა სამხრეთ საქართველოსა და სვანეთში არქიტექტურული ძეგლების განაზომების მომზადების მიზნით. კლდიაშვილი იყო მცხეთის ჯვრის შემკეთებელი კომისიის, სვეტიცხოვლის განმაახლებელი კომიტეტის, ქართველ ხელოვანთა საზოგადოებისა და საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების წევრი.



1899 წლიდან ს. კლდიაშვილი შეუდგა თბილისის სათავადაზნაურო სკოლის შენობის პროექტის შედგენას და თვით მშენებლობის ხელმძღვანელობას. „სწორედ ეს არის უმთავრესი ეტაპი კლდიაშვილის “ხუროთმოძღვრული“ ბიოგრაფიისა. როგორც ამ უზარმაზარი შენობის ავტორი, სვიმონ კლდიაშვილი იმ საქმის ერთი უმთავრესი მონაწილეთაგანი გახდა, რომელსაც თავის დროზე უდიდესი კულტურული მნიშვნელო-

ს. კლდიაშვილი (მეორე რიგში მარჯვნიდან პირველი) აქტიურად მონაწილეობდა იმდროინდელ ყველა კულტურულ ნამოწყებაში. ფოტოზე მცხეთის ჯვრის მონასტრის შემკეთებელი კომისიის წევრები არიან აღბეჭდილი. 1914წ.

Mtskheta, Jvari Monastery, 1914  
S. Kldiashvili (the first on the right in the second row) actively participated in all the cultural events of the time. The photo depicts Mtskheta Jvari Monastery Reconstruction Commission members.



ბა ჰქონდა ქართული საზოგადოებისათვის. უფრო მეტიც: ეს საქმე, მონინავე მოღვაწეთა თვალში, ზოგადეროვნულ მოვლენად იყო მიჩნეული“, — წერდა ცნობილი ქართველი ხელოვნებათმცოდნე ვახტანგ ბერიძე. გიმნაზიის მშენებლობა 1900 წელს დაიწყო.

თუ თვალს გადავავლებთ იმდროინდელ არქიტექტორთა სახელებს, ვისი ნახაზებითა და ხელმძღვანელობითაც იგებოდა შენობები თბილისში, ქართველთა გვარებს თითქმის ვერ ვნახავთ. ქართული გიმნაზიის მშენებელთა აბსოლუტური უმრავლესობა კი, დანყებული ოსტატებით, დამთავრებული მუშებითა და დარაჯებით, ქართველები იყვნენ. ამდენად, გასაგები ხდება ნიკო ცხვედაძისა და მშენებლობის გამგე - კომიტეტის გადანყვეტილება — ქართული გიმნაზიის მშენებლობა ქართველთა შრომისუნარიანობისა და ნიჭის აპოთეოზად ექციათ.

გიმნაზიის მშენებლობა 1900 წელს დაიწყო. შენობის საძირკვლის ჩაყრა დღესასწაულად იქცა.





## გაზეთი “ივერია“ წერდა:

„14 ოქტომბერს, თბილისის სათავადაზნაურო სკოლის გამგე-კომიტეტის მიერ შექმნილს ადგილზედ, ამ სკოლის ახალი შენობის საძირკველი ჩაჰყარეს და აკურთხეს“. ცერემონიალში მონაწილეობდნენ ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, მარიამ ჯამბაკურ-ორბელიანი, ნიკო ცხვედაძე, იაკობ გოგებაშვილი, ექვთიმე თაყაიშვილი, სიმონ წერეთელი, ქრისტეფორე მამაცაშვილი, საზოგადოებრიობის წარმომადგენლები და გიმნაზიის მოსწავლეები. საზეიმო პარაკლისი გიმნაზიის საღვთო რჯულის მასწავლებლის, დეკანოზ კალისტრატე ცინცაძის ხელმძღვანელობით, სპეციალურად მონვეულმა სამღვდელოებამ გადაიხადა. გალობდა გიმნაზიის გუნდი ზაქარია ჩხიკვაძის ლოტბარობით. ზეიმის კულმინაციას შეადგენდა მომენტი, როდესაც გიმნაზიის ორმა მსახურმა კალათები მოიტანა და ქვაბულის ნაპირზე დადო. საძირკველი დიდი შენობისთვის ღრმად იყო ამოთხრილი. შიგ დაბლა კალატოზები იდგნენ, სუფთა წინსაფრებში გამონწყობილნი და თითქოს რალაცას ელოდებოდნენ... მოტანილ

კალათებში აღმოჩნდა, დაახლოებით, 10-12 ლიტრი საუკეთესო ღვინო. ტრადიციისამებრ, ყველაფერი ეს ჩაანოდეს დაბლა მყოფ კალატოზებს, რომლებმაც ლიტრები საძირკველში წინასწარ გამზადებულ ჩაზნექილ სათავსოებში ჩაალაგეს. შენობის საძირკველში ჩადებული რამდენიმე აგურის ერთ მხარეს ამოტვიფრული ყოფილა “ქართული გიმნაზია“, მეორეზე კი — “ქართული უნივერსიტეტი“.



ქართველი საზოგადოებრიობა აღფრთოვანებით შეეგება ამ ფაქტს, მაგრამ სკეპტიკოსებიც ბევრნი ყოფილან. ისინი ეჭვით უყურებდნენ გრანდიოზული მშენებლობის პერსპექტივას, არც მომავალი სასწავლებლის შენობისთვის შერჩეული ადგილით იყვნენ კმაყოფილნი. ნიკო ცხვედაძეს “ჰკიცხავდნენ მრავალნი ყვედრებით: ვერის მეღებისა და ტურებისათვის უყიდნია სკოლის ადგილი და ქართველი ყმანვილები ვერელელიბუა მენახშირე და მეშეშეებისკენ უნდა გარეკოსო“. თუმცა ეს გესლიანი პროგნოზები არ გამართლდა - სვიმონ კლდიაშვილი სიცოცხლეშივე მოესწრო მის მიერ აგებულ შენობაში ქართული უნივერსიტეტის გახსნას.

## ARCHITECT SVIMON KLDIASHVILI

**S**vimon Kldiashvili is a typical representative of Eclecticism Age. In his buildings we come across Renaissance-Baroque style facades with the interpretations characteristic of XIX-XX cc., as well as quite often – Modern... Only a few of the buildings designed by him have reached to this day.

Svimon Kldiashvili graduated from the faculty of Architecture at Moscow artistic society of fine arts, sculpture and architecture college with a big silver medal. At first, he had private jobs in Kostroma, and in 1895, he was invited to Sokhumi to work as a city architect.



Together with Ekvtime Takai-  
shvili he travelled in Southern  
Georgia and Svaneti preparing  
measurements of the architec-  
tural monuments. Kldiashvili  
was a member of Mtskheta Jvari  
Restoration Commission, Sve-  
titskhoveli Renovation Comm-  
ittee, Georgian Artistic Society  
and Georgian Historical-Ethn-  
ographic Society.

ქართული გიმნაზიის გამგეობის წევრები.

სხედან: გ. ყაზბეგი, მ. ჯამბაკურ-ორბელიანი, ნ. ცხვედაძე,  
ი. წინამძღვრისვილი.

დგანან: გ. ჟურული, ე. თაკაიშვილი, მ. ყიფიანი.

Georgian Gymnasium Board members:

(sitting) G. Kazbegi, M. Jambakur-Orbeliani, N. Tskhvedadze,  
I. Tsinamdzhvrishvili


(standing) G. Zhuruli, E. Takaishvili, M. Kipiani

Since 1899, S. Kldiashvili started designing and running the project of Tbilisi Nobility School. A famous Georgian art historian Vakhtang Beridze wrote: ‘This is the most significant period in Kldiashvili’s “architectural” biography. As the author of this huge building Svimon Kldiashvili became one of the most important participants of the work, which in due time had the greatest cultural significance for the Georgian society. Moreover, by some leading Georgian personalities this phenomenon was considered to have nation-wide importance.’

If we look through the names of the Georgian architects of that time according to whose drafts and under whose supervision buildings were constructed in Tbilisi, we will hardly be able to find Georgian surnames among them. Contrary to this, absolute majority of builders involved in the construction of the Georgian Gymnasium, from masters to labourers and guards, were Georgians. Therefore, the decision made by Niko Tskhvedadze and the Chief Committee to make the Gymnasium construction works into the apotheosis of working capacity and talent becomes obvious.

The Gymnasium construction works started in 1900.

The ceremony of laying the foundation  
turned into a celebration.





### THE NEWSPAPER 'IVERIA' WROTE:

'On October 14, on the site purchased by the Chief Committee of Tbilisi Nobility School, the foundation for the new school was laid and blessed.' The ceremony was attended by Ilia Chavchavadze, Akaki Tsereteli, Mariam Jambakur-Orbeliani, Niko Tskhvedadze, Iakob Gogebashvili, Ekvtime Takaiashvili, Simon Tsereteli, Kristepore Mamatsashvili, society members and gymnasium pupils. The solemn paraklisis headed by the gymnasium theology teacher deacon Kalistrate Tsintsadze was served by specially invited clergy. Hymns were sung by the gymnasium choir conducted by Zakaria Chkhikvadze. The celebration reached its peak when

two servants of the gymnasium brought in baskets and placed them on the edge of the foundation pit which had been dug quite deep. In it some bricklayers dressed in clean aprons were standing, as if waiting for something... The baskets brought by the servants turned out to hold approximately 10-12 litres of the best wine. According to tradition, all that was handed down to the bricklayers, who placed the bottles in the previously made hollow storerooms. On one side of some bricks laid in the foundation of the building there was an inscription 'Georgian Gymnasium' and on the other - 'Georgian University'.

Georgian society greeted this fact with great enthusiasm, though quite a lot of people displayed scepticism. They doubted the perspective of such a grandiose project, they were not happy with the chosen site either. Niko Tskhvedadze was 'condemned by many with reproach: he has bought the school building site for Vera region foxes and jackals and wants to drive Georgian fellows to charcoal burners and firewood-cutters from Vera.'

However, these malicious predictions did not come true. In his lifetime, Svimon Kldiashvili witnessed the opening of the Georgian University in the building constructed by him.

ცნობილი სამხედრო ინჟინერი ვასილ ჯორჯაძე ქართული გიმნაზიის მშენებლობაზე, როგორც რკინა-ბეტონის კონსტრუქციების სპეციალისტი, კომუნიკაციების გაყვანასა და რკინა-ბეტონის სამუშაოებს ხელმძღვანელობდა. შენობის საკანალიზაციო გაყვანილობის შესაერთებლად მანვე დააპროექტა ვარაზის ხევში გასატარებელი რკინა-ბეტონის მილი. ვასილ ჯორჯაძეს ეკუთვნის გიმნაზიის შენობის თავზე არსებული გლობუსების იდეა.

მშენებლობაზე, თბილისელების გარდა, ახლომახლო სოფლებიდანაც ჩამოდიოდნენ. ხელფასის დაგვიანებისა და სამშენებლო ტექნიკის არარსებობის პირობებში, შენდებოდა გიმნაზიის შენობა. სამღებრო საქმეს ასრულებდა მხატვარ-დიზაინერი, რომლის გვარი ჯმუხაძე ყოფილა. გუმბათს თეთრი თუნუქის საფარველი შემოარტყეს მეთუნეუქებმა: ვანო ქორვაშვილმა და კოლა კერვალიძემ. სადურგლო სამუშაოებს ხელმძღვანელობდა ცნობილი ხელოსანი პეტრე ჭაბუკიანი, შემდგომში ცნობილი ქორეოგრაფის ვახტანგ ჭაბუკიანის მამა.

გიმნაზიის მშენებლობისათვის საჭირო სახსრების უდიდეს ნაწილს სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის ყოველწლიური მოგების ნაწილი შეადგენდა. 1905 წლისათვის (ილია ჭავჭავაძის თავმჯდომარეობის პერიოდში) ბანკის მიერ ქართული გიმნაზიის შენობის აგებისათვის დახარჯული იყო 145 202 მანეთი. საქართველოში ამ ერთადერთ ეროვნულ სასწავლებელს ილია ჭავჭავაძე დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა. იგი ხშირად მიდიოდა გიმნაზიაში, ესწრებოდა გაკვეთილებს, აკ-

ვირდებოდა პანსიონერების ყოფა-ცხოვრებას და საკუთარ სახლშიც ეპატიჟებოდა მათ.

1906 წლის 26 ნოემბერი ითვლება მთავარი შენობის აგების თარიღად. ამ დღიდან ქართული გიმნაზიის ყველა კლასმა საკუთარ, ახალაშენებულ შენობაში დაიწყო



ვასილ ჯორჯაძე  
Vasil Jorjadze

მეცადინეობა მიუხედავად იმისა, რომ აქ სამშენებლო სამუშაოები კიდევ დიდხანს გრძელდებოდა. 1909 წელს დამთავრდა სპორტული დარბაზის მშენებლობა, რომლის ზედა სართულზე ორმუქიანი სააქტო დარბაზი მოეწყო. გიმნაზიის მშენებლობა 15 წელს გაგრძელდა. შენობა იმთავითვე ქალაქის ღირსშესანიშნაობად იქცა. აქ

ხშირად მოდიოდნენ სტუმრები, რომლებიც აღფრთოვანებულნი რჩებოდნენ შესანიშნავი ნაგებობით.

შენობის გეგმა სიმეტრიულია და, მიუხედავად სიდიდისა, საკმაოდ ნათელი კონფიგურაცია აქვს. ცენტრალურ ნაწილში, მეორე სართულზე, განთავსებულია ვრცელი ვესტიბიული და ფართომარშიანი კიბეები. ვესტიბიულის თავზე დავით აღმაშენებლის სახელობის სამლოცველო იყო, ხოლო მოპირდაპირე მხარეს — სააქტო დარბაზი. ეს დარბაზიცა და ეკლესიაც ორშუქიანია და მთელი შენობის სიმაღლეს ავსებს. შენობის ყველა სხვა კომპონენტი ამ ცენტრალური

ნაწილის გარშემო სიმეტრიულ ფრთებშია განლაგებული. მიუხედავად ობიექტის სიდიდისა და არქიტექტურულ ელემენტთა სიმარტივისა, დეკორის ძალიან ზომიერი გამოყენებით, არქიტექტორმა შეძლო მონოტონურობის თავიდან აცილება.

ეს შენობა თავის დროზე ყველაზე დიდი ნაგებობა იყო მთელ თბილისში, მან ერთგვარი მიჯნისა და ამავე დროს დამაკავშირებლის როლი შეასრულა ძველსა და ახალ თბილისს შორის. მისი აშენებიდან ას წელზე მეტი გავიდა, მაგრამ იგი კვლავ ინარჩუნებს ქალაქის ერთ-ერთი ყველაზე შთამბეჭქდავი არქიტექტურული ძეგლის სახელს თავისი სადღესასწაულო და საზემო იერის წყალობით.



1918 წელს გიმნაზიის შენობაში გახსნილ პირველ ქართულ უნივერსიტეტს თავდაპირველად მხოლოდ სამი ოთახი ეკუთვნოდა. მესამე სართულის მთელი მარჯვენა მხარე ეკავა საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებას, აქვე იყო განთავსებული თბილისის ქალთა ქართული გიმნაზია, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მუზეუმი, ხოლო 1915 წლიდან 1918 წლამდე — სამხედრო ლაზარეთი, რომელშიც 1915 წელს გარდაიცვალა ვაჟა-ფშაველა. 1920 წლიდან მთელი შენობა უნივერსიტეტს დაეთმო.

მოგვიანებით, 30-იანი წლების ბოლოს, შენობის გუმბათის ქვეშ არსებული სივრცე, სადაც ჯერ გიმნაზიის სამლოცველო, ხოლო მოგვიანებით უნივერსიტეტის ძველი ქართული ხელოვნების მუზეუმი ფუნქციონირებდა, ორ სართულად გადაკეთდა. ზედა სართულზე მოეწყო სამკითხველო, ორსართულიანი პასტოფორიუმების მეორე სართულებზე ჯერ სამხედრო აღრიცხვის კაბინეტი და საპარიკმახერო მოაწყვეს, ხოლო მოგვიანებით მათი სივრცეც სამკითხველო დარბაზს მიუერთეს, ქვედა სართულზე კი,

პატარა ოთახებად გადატინრულ კაბინეტებში, განთავსდა უნივერსიტეტის პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციები.

XX საუკუნის 70-იან წლებში უნივერსიტეტის I კორპუსს ყველაზე მასშტაბური მინაშენი გაუკეთდა: სააქტო დარბაზი გადაკეთდა დიდ ფოიედ და მას მიემატა ახალი სააქტო და სასპორტო დარბაზები (არქიტექტორები: კაჭკაჭიშვილი, ლომიძე, შავიშვილი).

„1973 წლის 24 ოქტომბერს უნივერსიტეტის მინაშენის სამუშაოებისას მშენებლები საძირკველში წააწყდნენ საგანგებოდ ამოშენებულ ნიშას, რომელშიაც იდო ხუთი ბოთლი და ერთი ქილა. ამათგან სამ ბოთლსა და ქილაში ჩადებული იყო 1900 წლის პერიოდულ გამოცემათა („ივერია“, „კვალი“, „ცნობის ფურცელი“, „ჯეჯილი“, „მოამბე“ და სხვ.) ნომრები და სხვადასხვა წესდებულებები. ქილა არ იყო ჰერმეტიულად დახურული (ზემოდან ედო აგური), რის გამოც მასში მოთავსებული ყურნალ-გაზეთები ძალიან დაზიანებულია. აგრეთვე აღმოჩნდა ორი ბოთლი 1895 წლის კახური სამარკო ღვინო.“ - წერდა პროფესორი სერგო ჯორბენაძე მაშინდელ პრესაში ამ საგანგებო ფაქტის შესახებ.



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მთავარი შენობის საერთო ფართი 14 920 კვ. მეტრია. ამ შენობაში განლაგებულია უნივერსიტეტის ადმინისტრაცია, სასწავლო აუდიტორიები, მუზეუმი, კულტურის ცენტრი, სპორტული და სააქტო დარბაზები.

დღეს, უნივერსიტეტის კურსდამთავრებული ბიზნესმენისა და მეცენატის ბიძინა ივანიშვილის დახმარებით, მიმდინარეობს მთავარი შენობის რეკონსტრუქცია.

თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიის შენობა ქართული კულტურისათვის ბევრად უფრო მეტს ნიშნავს, ვიდრე ერთი, თუნდაც ბრწყინვალე, არქიტექტურული ნაგებობა, ან მხოლოდ უპირველესი საგანმანათლებლო დაწესებულება. არც მშენებლობაში, არც პირველი ქართული გიმნაზიის, მოგვიანებით კი — პირველი ქართული უნივერსიტეტის დაფუძნებაში სახელმწიფოს არავითარი წვლილი არ შეუტანია, ეს ეროვნული მნიშვნელობის წამოწყებები მხოლოდ ქართველი ხალხის ღვაწლის ნაყოფია.



As a specialist of ferroconcrete structures, a famous Georgian military engineer, Vasil Jorjadze was in charge of carrying out ferroconcrete works and installing utility lines. In order to connect the sewage system of the building, he constructed the ferroconcrete pipe which was due to pass through Varaziskhevi. He also constructed the globes on top of the Gymnasium building.

Besides Tbilisians, workers came from nearby villages. Despite the delay of the wages and absence of the equipment, they went on building the Gymnasium. Painting works were performed by the artist-designer Jmukhadze. The dome was covered with the white sheet metal by the tinsmiths Vano Korpashvili and Kola Kirvalidze. The joiners' works were headed by a famous craftsman Petre Chabukiani, father of an outstanding Georgian choreographer Vakhtang Chabukiani.

The biggest share of the finances necessary for the construction of the Gymnasium constituted a part of the annual profit gained by the Nobility Property Bank. By 1905 (while Ilia Chavchavadze was the administrative manager), the bank

had already spent on this purpose 145 202 rubles. Ilia Chavchavadze attached a great importance to this unique National College. He often visited the Gymnasium, attended lessons, observed the everyday life of the boarders and even invited them to his house.

26 November 1906 is considered the main building construction date. From then on, all the classes of the Georgian Gymnasium started studying in their own classrooms of the newly built building. However, the construction works still continued for quite a long time. In 1909, the sports hall was finished, above which the assembly hall with two-sided lighting was located. The whole construction process lasted 15 years. The building immediately turned into a remarkable sight. All the visitors were delighted to see the building.

The building plan is symmetrical and, despite its magnitude, has quite a clear configuration. In its central part, on the first floor there is a large lobby and a wide staircase. On top of the lobby there was David the Builder's chapel and on the opposite side - the assembly hall. Both the hall and the chapel have a two-sided lighting and



they both fill the whole height of the building. All the other components of the building are situated around the central part in the symmetrical wings. In spite of the immensely big size of the construction project and the simplicity of the architectural elements, with the extremely moderate use of the decor, the architect managed to avoid monotony.

At the time when it was constructed, the building was the biggest in Tbilisi. It served as a kind of boundary and, at the same time, as a connector between the old city and the new city. More than 100 years have passed since it was built but, due to its festive and stately outward appearance, it still retains the image of one of the most impressive architectural monuments of the city.

On 26 January 1918 (8 February according to the new style), the first Georgian University was opened in the Gymnasium building. At first, the university occupied only three rooms. The whole right side of the second floor was taken up by the Georgian Historical-Ethnographic Society; Tbilisi Women's Georgian Gymnasium and the museum of the Society Disseminating Literacy among Georgians were located thereby; from 1915 to 1918 it also housed a military hospital, where Vazha Pshavela died in 1915. Since 1920, the whole building was handed over to the University.


Later, at the end of the 1930s, the space under the dome, which first served as the Gymnasium chapel and then as the university museum of old Georgian art, was converted into two storeys with the reading hall upstairs; on the first floor of the two-storeyed pastophoriums initially a military registering office and then a hairdresser's were accommodated and were finally added to the reading hall; while on the ground floor, in the small partitioned off offices, the university party and comsomol organisations were lodged.

In the 1970s, a large-scale extension was made to the first building of the University: the assembly hall was made into a large foyer and a new assembly hall as well as several sports halls were added to the main building. (architects: Kachkachishvili, Lomidze, Shavishvili). 'On 24 October 1973, while conducting the extension works, in the foundation thebuilders came across a specially built-up niche with five bottles and a jar in it. Three bottles and the jar contained some issues of the 1900 periodicals ('Iveria', 'Kvali', 'Tsnobis Purtseli', 'Jejili', 'Moambe' and others.) and different statutes. As the jar was not hermetically sealed (it had a brick on top), the newspapers and journals are badly damaged. Besides that, the builders discovered two bottles of 1895 Kakhetian vintage wine.' – Professor Jorbenadze wrote in the printed media regarding this extraordinary fact.

The total area of Ivane Javakhishvili Tbilisi State University main building constitutes 14 920 square metres. It houses the university administration, lecture rooms, a museum, a cultural centre, sports and assembly halls.

Presently, with the support of a University graduate, businessman and sponsor Bidzina Ivanishvili, the University main building is being reconstructed.





Tbilisi Nobility Gymnasium building has a much greater importance for the Georgian history and culture than any, even brilliant, architectural creation or only the first educational institution. The government has not contributed anything to either the construction or the foundation of the first Georgian Gymnasium and, later on, to the first Georgian University. These initiatives of national significance are only the result of Georgian people's financial support.

თბილისის გეგმა 1906 წელს, სადაც უკვე ჩანს გიმნაზიის შენობა.  
Tbilisi plan (1906). Gymnasium building is already clearly viewed.

СПИСОКЪ

цъ, переулковъ, провъздовъ, площадей и тупиковъ.



## პირველი ეროვნული უნივერსიტეტი კავკასიაში

ყველა ერს აქვს გამორჩეული თარიღები, რომლებთანაც დაკავშირებულია ამა თუ იმ ქვეყნის ისტორიის მნიშვნელოვანი მოვლენები. 1918 წლიდან 8 თებერვალი ქართველი ხალხის ცნობიერებაში ორმაგად მნიშვნელოვან თარიღად იქცა. მანამდე იგი საქართველოს ყველაზე დიდი მეფისა და წმინდანის დავით აღმაშენებლის ხსენების დღე იყო, ხოლო 1918 წლიდან მან ქართული საუნივერსიტეტო განათლების დასაბამის სიმბოლური მნიშვნელობაც შეიძინა. 9 ათეული წლის წინათ თბილისის გარეუბანში, ქართული სათავადაზნაურო გიმნაზიის შენობაში, საზეიმოდ გაიხსნა უნივერსიტეტი, რომელმაც, საფუძველი ჩაუყარა კავკასიაში ევროპული ტიპის პირველ უმაღლეს სკოლას.



### THE FIRST NATIONAL UNIVERSITY IN THE CAUCASUS

All nations have special dates closely connected with the crucial moments of their history. February 8, 1918 has become a date of double importance in the memory of the Georgian people. Years back it was a commemoration day of Georgia's greatest King and the Saint, David the Builder. However, since 1918 it has also acquired a symbolic meaning that heralded the beginning of the Georgian university education. The opening of the University was solemnly declared in the Gymnasium for the Nobility, at the outskirts of the city 90 years ago, thus becoming the foundation for the establishment of a higher school of the European type in the Caucasus.

უნივერსიტეტის დაარსების იდეა XIX საუკუნის დასაწყისში, რუსეთის იმპერიისაგან საქართველოს გათავისუფლებისათვის ბრძოლის გაძლიერებასთან ერთად დაიბადა.

XIX საუკუნის სამოციან წლებში საქართველოში სამოღვაწეო ასპარეზზე გამოვიდა ახალი თაობა, დიდი ქართველი საზოგადო მოღვაწის ილია ჭავჭავაძის მეთაურობით, რომელთანაც დაკავშირებულია სულიერი აღორძინების ახალი ეტაპი საქართველოს ისტორიაში. ამ წლებში განსაკუთრებით გააქტიურდა უნივერსიტეტის დაარსებისათვის ბრძოლა.

უმალღესი სკოლის შექმნის რეალური შესაძლებლობები კიდევ უფრო გამოიკვეთა მას შემდეგ, რაც თბილისში დაარსდა სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკი. იგი რუსეთის იმპერიაში არსებულ ბანკებს შორის ერთადერთი იყო, რომელიც თავის შემოსავალს ერის კულტურულ-საგანმანათლებლო და სამეურნეო ინტერესებს ახმარდა.



*„ქართველი ერის აღორძინების ისტორიაში ილია ჭავჭავაძის შემდეგ მთავარი ფიგურა და მისი საქმის ღირსეული გამგრძელებელი უთუოდ ივანე ჯავახიშვილი იყო, რომელსაც წილად ხვდა წინამძღვრად გაძლიერდა მრავალსაუკუნოვანი კულტურის მქონე ერს უკეთესი მომავლისათვის.“*

აკაკი შანიძე

**XX** საუკუნის დასაწყისიდან ქართული უნივერსიტეტის დაფუძნების ორგანიზატორი გახდა პეტერბურგის უნივერსიტეტის აღზრდილი და მისი პრივატ-დოცენტი ივანე ჯავახიშვილი. იგი სამართლიანად ითვლება ილია ჭავჭავაძის გზის გამგრძელებლად ქართული ეროვნული თვითშეგნების შენარჩუნებისა და გაძლიერების თვალსაზრისით.

მე-19 საუკუნის დასაწყისიდან საზოგადოებაში განუწყვეტლივ კამათობდნენ იმის თაობაზე, თუ რა სახის უმაღლესი სასწავლებელი უნდა გახსნილიყო საქართველოში – პოლიტექნიკური ინსტიტუტი თუ უნივერსიტეტი? პრაქტიკული მოსაზრებით, საქართველოს, როგორც აგრარულ ქვეყანას, ინსტიტუტის ტიპის სასწავლებელი ესაჭიროებოდა. ამ იდეას მხარს ისეთი გამოჩენილი მოღვაწენი უჭერდნენ, როგორებიც იყვნენ ნიკო ნიკოლაძე, ვასილ პეტრიაშვილი, პეტრე მელიქიშვილი, გიორგი ნერეთელი და სხვები. კამათი პეტერბურგში მცხოვრებ ქართველებშიც განახლდა. 1917 წლის დასაწყისში კინოთეატრ „ელიტაში“ შეკრებილმა საზოგადოებამ საგანგებო მსჯელობა გამართა ამ მეტად მნიშვნელოვანი საკითხის ირგვლივ. ივანე ჯავახიშვილმა წაიკითხა მოხსენება თბილისში

უნივერსიტეტის დაარსების აუცილებლობის შესახებ და რუსეთში მყოფ ქართველ მეცნიერებს სამშობლოში დაბრუნებისკენ მოუწოდა.

ამ დროისათვის ივ. ჯავახიშვილს უკვე დაგზავნილი ჰქონდა ანკეტური კითხვარი რუსეთის სხვადასხვა საუნივერსიტეტო ქალაქში. ამდენად, იმ სამეცნიერო პოტენციალსაც იცნობდა, რომლითაც მომავალი ქართული უნივერსიტეტი უნდა დაკომპლექტებულიყო.

1917 წლის თებერვლის რევოლუციის პირველი დღეებიდანვე პეტროგრადში მყოფმა ივანე ჯავახიშვილმა აქტიურად დაიწყო უმაღლესი სასწავლებლის გახსნისათვის მზადება და გაზაფხულზე უკვე სამშობლოში დაბრუნდა, რათა ხორცი შეესხა თავისი ოცნებისათვის. 12 მაისს თბილისში, პეტრე მელიქიშვილის ბინაში, უნივერ-

სიტეტის საზოგადოების დამფუძნებელთა პირველი შეკრება გაიმართა. კრებას ექვთიმე თაყაიშვილი ხელმძღვანელობდა. ამ დღეს დაფუძნდა “ქართული თავისუფალი უნივერსიტეტის” საზოგადოება, რომელმაც დიდი როლი ითამაშა უნივერსიტეტის დაარსების საქმეში.

1917 წლის შემოდგომაზე უნივერსიტეტის დამფუძნებელთა მუშაობა უმაღლესი სასწავლებლის გასახსნელად კიდევ უფრო ფართოდ გაიშალა. გადაწყდა, რომ თავდაპირველად მხოლოდ ერთი - სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტი დაარსებულიყო, რომელიც გააერთიანებდა ჰუმანიტარულ საგნებს, აგრეთვე ბუნებისმეტყველებასა და მათემატიკას. დეკემბრის ბოლოს პრესაში გაჩნდა პირველი განცხადება ქართულ უნივერსიტეტში სტუდენტების მიღების შესახებ.

1918 წლის 26 იანვარს, (ახალი სტილით, 8 თებერვალს) დავით აღმაშენებლის ხსენების დღეს, გაიხსნა პირველი ქართული უნივერსიტეტი.



სტუმრების მიღება და დღესასწაულის ხელმძღვანელობა ილია ქავჭავაძის დისნულმა, ცნობილმა საზოგადო მოღვაწემ კოტე აბხაზმა იტვირთა.

უნივერსიტეტი აკურთხა და გზა დაულოცა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა კირიონ მეორემ.

„ახლა თქვენს ხელშია, ბატონო პროფესორნო, ბედ-იღბალი ამ მაღალი სამეცნიერო ტაძრისა. ჩვენი გული ივსება სიხარულით, რომ სიბრძნეს, რომელიც დაუსრულებელია, ვნერგავთ ამიერიდან ჩვენს ხალხში. ამ დღესაც მოვესწარით, რომ ქართულ უნივერსიტეტს ვხსნით... ლტოლვილებამ სინათლისადმი, ცოდნის წყურვილმა და ჭეშმარიტების სიყვარულმა შეჰკრიბა დღეს აქ აუარებელი ხალხი.

კაცი სინათლისათვის არის შექმნილი და თვით ბუნებისაგან ჩანერგილია მასში ღვთიური ნიჭი — ძიება ჭეშმარიტებისა, რომელიც ჰქმნის კაცს თავისუფლად.

გილოცავთ, ჩვენი პირველი უნივერსიტეტის ხელმძღვანელო, და ვისურვებ ჩვენი საზოგადო საქმის წარმატებას საკეთილდღეოდ ჩვენი ერისა.”



კირიონ მეორე, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი

1918 წ. 26 იანვარს თბილისის უნივერსიტეტის  
გახსნაზე წარმოთქმული სიტყვა

საზეიმო გახსნაზე საზოგადოების წინაშე სიტყვით წარდგნენ ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტის მეთაური აკაკი ჩხენკელი, უნივერსიტეტის პირველი რექტორი პეტრე მელიქიშვილი, პროფესორთა საბჭოს მდივანი იოსებ ყიფშიძე.

კავკასიაში პირველი ეროვნული უნივერსიტეტი ქართველი ხალხის მხარდაჭერითა და სამშობლოს სიყვარულით გულანთებულ, პატრიოტ მეცნიერთა ძალის-

ხმნევით დაფუძნდა. თუმცა ივანე ჯავახიშვილის ღვაწლი, ცხადია, გამორჩეული იყო ამ დიდ საქმეში და ამას მისი თანამედროვენიც აღიარებდნენ:

„ივანე ჯავახიშვილი ბრძანდება ერთადერთი დამაარსებელი, სულისჩამდგმელი და ერთადერთი რაინდი ჩვენი უნივერსიტეტისა, აქ მას ვერავინ შეეტოქება და შეეზიარება.“

აი, ასეთი აღფრთოვანებით საუბრობდა პეტრე მელიქიშვილი თავისი თანამოაზრისა და კოლეგის შესახებ.



## ფუძემდებელი

ერთადერთი რაინდი ჩვენი უნივერსიტეტისა, ივანე ჯავახიშვილი, 1876 წელს თბილისში დაიბადა. პირველ კლასიკურ გიმნაზიაში სწავლის შემდგომ პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტის სტუდენტი გახდა. სწავლის პერიოდშივე გამოვლინდა ივ. ჯავახიშვილის მეცნიერული კვლევის უზენაესი მიზანი: ისტორიული სიმართლის დადგენა, თუნდაც ამას საუკუნეების განმავლობაში ხალხის მიერ აღიარებული გადმოცემა და ლეგენდები შეეწიროს. სტუდენტური ნაშრომისათვის, რომელიც საქართველოს ისტორიის ერთი მონაკვე-

თის ახლებურ გაგებას გულისხმობდა, მას პრემია და ოქროს მედალი გადაეცა. ეს იყო ივანე ჯავახიშვილის სიცოცხლეში მიღებული ერთადერთი პრემია. პეტერბურგის უნივერსიტეტის სომხურ-ქართულ-ირანული განყოფილების დამთავრების შემდგომ, ფაკულტეტის დადგენილებით, იქვე დარჩა საპროფესოროდ მოსამზადებლად. ივანე ჯავახიშვილი განსაკუთრებული მაღლიერებით იხსენებდა ბერლინის უნივერსიტეტში გატარებულ დროს, სადაც პეტერბურგის უნივერსიტეტიდან მიავლინეს პროფესორ გუსტავ ადოლფ ჰარნაკთან ცოდნის გასალრმავებლად.



1903 წელს ივანე ჯავახიშვილი პეტერ-ბურგის უნივერსიტეტის პრიატი-დოცენტი გახდა. ამავე წლიდან დაიწყო მან პეტერ-ბურგის ქართული საზოგადოებისთვის, განსაკუთრებით მოსწავლე ახალგაზრდობისთვის, ქართულად საკვირაო ლექციების კითხვა.

ივანე ჯავახიშვილმა 1907 წელს პეტერ-ბურგის საიმპერატორო უნივერსიტეტის ქართველ სტუდენტთა სამეცნიერო წრე დააარსა, რომელმაც დიდი როლი შეასრულა ქართული სამეცნიერო აზროვნების განვითარებასა და საქართველოში უნივერსიტეტის დაარსების საქმეში.

ივანე ჯავახიშვილმა მის მიერ დაარსებული უნივერსიტეტის რექტორობა პეტრე მელიქიშვილს შესთავაზა. თავად კი სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტს ჩაუდგა სათავეში. მას მერე, რაც პ. მელიქიშვილმა თანამდებობიდან გადადგომა ითხოვა, 1919 წელს ივ. ჯავახიშვილი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი გახდა.

1926 წელს საბჭოთა რეჟიმმა უნივერსიტეტის დამაარსებელი ივანე ჯავახიშვილი რექტორის თანამდებობიდან გადააყენა.

1936 წელს კვლავ განახლდა რეპრესიები ივანე ჯავახიშვილის მიმართ. უნივერსიტეტის მაშინდელმა რექტორმა კ.ორაგველიძემ ისტორიის ფაკულტეტის საბჭოზე წაიკითხა მოხსენება „საქართველოს ისტორიის საკითხისათვის“, რომელიც მიმართული იყო ივანე ჯავახიშვილის სამეცნიერო მოღვაწეობის წინააღმდეგ. ივანეს დაცვა, საბჭოთა რეჟიმის შიშით, ერთი-ორი გამონაკლისის გარდა, ვერ გაბედეს მისმა მეგობრებმა და მოწაფეებმა. ჯავახიშვილი იძულებული გახდა, თავისივე დაარსებული უნივერსიტეტი დაეტოვებინა.

ივანე ჯავახიშვილი 1940 წლის 18 ნოემბერს საჯარო ლექციის კითხვისას გარდაიცვალა. დაკრძალულია მისივე სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პანთეონში.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ არ დარჩენილა ქართველოლოგიაში დარგი, რომლის განვითარებაში ივანე ჯავახიშვილს უმნიშვნელოვანესი წვლილი არ შეეტანოს.

ივანე ჯავახიშვილის სამგზავრო ჩანთა

Ivane Javakhishvili's travelling bag



„ივანე ჯავახიშვილია ქართველოლოგიის ალფაცა და ომეგაც. ასეთი მეცნიერები ევროპაში მხოლოდ რენესანსის დროს იყვნენ.“

მარტონ იშტვანოვიჩი

In the 1860s, a new generation emerged on the Georgian arena under the leadership of Ilia Chavchavadze, the greatest of statesman, with whom a new stage of spiritual renaissance of Georgia's history is connected. The given years mark a particularly active struggle for the establishment of the national university.

Possibilities for the establishment of the University acquired truly realistic shape with the establishment of the Georgian Nobility Estate Bank. It was the only bank within the borders of the Russian Empire which donated its income to the development of cultural-educational and industrial interests of the nation. In the 20th century, the graduate of Petersburg University and its privatdocent, Ivane Javakhishvili headed the organizing activities for the establishment of the Georgian University. He is justly recognized as a follower of Ilia Chavchavadze and his activities in the cause of preservation and rise of national identity.

From the beginning of the 19th century, the society was drawn into the endless arguments regarding the type of the future high school in Georgia – whether it had to be a polytechnical institute or University. From the practical point of view, Georgia, being an agrarian country, needed a higher school similar to Institute. The given idea found vehement support among a number of statesmen, namely Niko Nikoladze, Vasil Petriashvili, Petre Melikishvili and others. The argument reached even the Georgians residing in Petersburg and at the beginning of 1917, the society, having gathered in the “Elite” cinema, held debates regarding the pressing issue. Ivane Javakhishvili made a statement on the importance of the establishment of Tbilisi University, appealing to the Russia based Georgian scientists to return home.

By that time Ivane Javakhishvili had already sent the questionnaires to several university cit-

*ყბიჯილივენი სისჯიგრო*  
*დონატორების სია*

1. შილა ვაძვასვილი მუცო ობიგობი —	4.000 ლ.
(სიერსი შილა ვაძვასვილი)	
2. ვითვი ვით. ანკიანი (აპირი შილა ვაძვასვილი)	4.000 ლ.
3. შაქიანი მხივანდია	80 ლ.
4. ვით. შილა. ვითვანდია	1.000 ლ.
5. ვით. ანკიანი ქაპიტანი	354260 ლ.
6. ვით. ვით. ანკიანი	5.510 ლ.
7. ვით. ვით. ანკიანი	100 ლ.
8. ვით. ანკიანი	1750 ლ.
9. ვით. ანკიანი (სიერსი ვაძვასვილი)	20.063-83 ლ.
10. ვით. ანკიანი	249.40 ლ.
11. ვით. ანკიანი (სიერსი ვაძვასვილი)	386 ლ.
12. ვით. ანკიანი	6692-50 ლ.
13. ვით. ანკიანი	202 ლ.
14. ვით. ანკიანი	490 ლ.
15. ვით. ანკიანი (სიერსი ვაძვასვილი)	86 ლ.
16. ვით. ანკიანი	200 ლ.
17. ვით. ანკიანი (სიერსი ვაძვასვილი)	750 ლ.
18. ვით. ანკიანი	1.000 ლ.
19. ვით. ანკიანი	667-81 ლ.
20. ვით. ანკიანი	2.900 ლ.
21. ვით. ანკიანი	653-85 ლ.
22. ვით. ანკიანი	200 ლ.
23. ვით. ანკიანი	189 ლ.
24. ვით. ანკიანი	200 ლ.
25. ვით. ანკიანი	115 ლ.
26. ვით. ანკიანი	1.000 ლ.
27. ვით. ანკიანი	100 ლ.
28. ვით. ანკიანი	382-60 ლ.
29. ვით. ანკიანი	150 ლ.
30. ვით. ანკიანი	30 ლ.
31. ვით. ანკიანი	1.000 ლ.
32. ვით. ანკიანი	150 ლ.

Donations to the University  
Brothers Kiknavelidze

ძეგბი კიკნაველიძეები →

ies in Russia. He was well aware of the scientific potential, which later was to become a core of Tbilisi University.

From the first days of the February Revolution of 1917, Ivane Javakhishvili, being in Petersburg at the time, launched active preparations for the establishment of the higher school. By the beginning of spring he returned to Georgia in order to realise his ultimate dream. The first meeting of the University founders society was held in the residence of Petre Melikishvili, on May 12. The meeting was chaired by Ekvtime Takaishvili. The society of the 'Free Georgian University' was founded on that day playing an enormous role in the University establishment process. In the autumn of 1917, the efforts of the founders doubled. It was decided that the faculty of Philosophy was to be formed first. It was to incorporate humanities subjects, natural sciences and mathematics. At the end of December, the first note on the admission of students to the Georgian University appeared in press. On 26 January 1918, on the day of commemoration of David the Builder, the first Georgian University was opened.

The reception of guests and the celebrations were hosted by Ilia Chavchavadze's nephew, Kote Abkhazi.

The University was blessed and praised by the Catholicos-Patriarch Kirion II.

'Honourable professors, the fate of this scientific temple is in your hands. My heart is filled with happiness at the thought that the eternal wisdom shall be bestowed upon the people of Geor-

gia. We have lived to the day of establishment of the national university...thriving for light, thirst for knowledge and love for verity has brought all these people together.

Man is created for light and the divine talent is bestowed upon him – the search for truth, which makes a man free.'

Kirion II

A. Chkhenkeli, the first rector of the University, P. Melikishvili, Chairman of Professors' Board and A. Kipshidze addressed the audience during the opening celebration.

Handwritten Georgian text, likely a letter or document related to the university's founding.

Handwritten Georgian text, likely a letter or document related to the university's founding.



The first Georgian University was founded due to the unlimited support of the Georgian people and enormous efforts of true patriot scientists. However, the contribution of Ivane Javakhishvili to the great cause was undoubtedly unique, upon which all his contemporaries agree: 'Ivane Javakhishvili is the only founder and protecting knight of our university who blew life into it. Nobody has a right to rival him or share the merit.' This was how Petre Melikishvili, his associate and colleague, described the great statesman.

---

## THE FOUNDER

---

'The scientist of his calibre lived in Europe only during the Renaissance.'

Marton Ishtvanovich



Ivane Javakhishvili was born in Tbilisi in 1876. After finishing his studies in the first Classical Gymnasium, he became a student at the Faculty of Eastern Studies in Petersburg University. The supreme aim of his studies became evident back in his student years and it envisaged the establishment of historical truth, even at the risk of sacrificing the sayings and legends recognised by the people throughout the centuries. For the scholarly thesis, which addressed a new perception of the extract from the Georgian history, he was awarded a prize and a gold medal. It was an only award Ivane Javakhishvili received during his life. After graduating from the Armenian-Georgian- Iranian department, upon the decision of the Faculty, he was to remain at the depart-

ment to prepare for professorship. With particular gratitude Ivane Javakhishvili remembered the time spent in Berlin University, where he was commissioned from Petersburg University for the accomplishment of skills under the supervision of Professor Gustav Adolf Harnak.

In 1903, Ivane Javakhishvili became Privatdocent. The same year he began to deliver Sunday lectures to the Georgian students studying in Petersburg.

In 1907, Ivane Javakhishvili formed a circle of the Georgian students studying in Petersburg Emperor's University, which played an enormous role in the development of Georgian scientific potential and establishment of the Georgian University.

Ivane Javakhishvili offered Petre Melikishvili to head the University. After P. Melikishvili requested resignation in 1919, Ivane Javakhishvili became the Rector of Tbilisi State University.

by Ivane Javakhishvili. Under the threat of the Soviet oppressive regime, associates and pupils of Ivane Javakhishvili, with the minor exception, failed to give him support. Ivane Javakhishvili was compelled to leave the University founded

ქართული უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორთა საბჭო და ქართული უნივერსიტეტის საზოგადოების გამგეობა ვთხოვენ მოკპრძანდეთ ამა თვის 26-ს, პარასკევ დღეს, პირველ საათზედ და უნივერსიტეტის გახსნას, დაესწროთ (წყნეთის ჟურნა, № 51).

In 1926, the Soviet regime removed Ivane Javakhishvili, the founder of the University from his post.

In 1936, the repressions against Ivane Javakhishvili were given a new start. The then Rector, K. Oragvelidze delivered a thesis ‘On the Issues of Georgian History’ at the Faculty of History of Tbilisi State University, which was directed against the scientific activities conducted

by him. Ivane Javakhishvili died while delivering a public lecture on November 18, 1940. He is buried in the University Pantheon bearing his name.

It could be said without exaggeration that there was no field in Georgia the development of which had not been supported by Ivane Javakhishvili.

ივ. ჯავახიშვილი  
უნივერსიტეტის პირველ  
კურსდამთავრებულებთან,  
1922წ.

Ivane Javakhishvili with the first  
graduates of the University, 1922



## პირველი სტუდენტი



პირველი სტუდენტი, ვინც 1918 წელს განცხადება შეიტანა თბილისის უნივერსიტეტში, იყო მედეა ლამბაშიძე.

მედეა ცნობილი ქართველი ექიმისა და საზოგადო მოღვაწის ვახტანგ ლამბაშიძისა და უნივერსიტეტის ინგლისური ენის პირველი პედაგოგის ვანდა ჰოპე-ლამბაშიძის ასული იყო. იგი 1899 წელს დაიბადა.

*„ჩაეწერე სიბრძნისმეტყუელების ფაკულტეტზე, მასხოვს, მინდოდა ეველა ლექციის მოსმენა, აყაი შანიძის ლექციით დაეინსუე, მისივე რჩევით დაეინსუე სომხური ენის სწავლა, 3 გაკვეთილის შემდეგ გადაუედი არაბულზე. გ. ახელუდი-ანთან დაეინსუე სასსურიტის სწავლა. ძალიან მომწონდა ლურსმული წერა. მასხოვს კიდევ შალვა ნუცუბიძის სიცოცხლით საუსე ლექციეზი თილოსოფიაზე და დიტო უზნაძის ნახზი, საინტერესო ლექციეზი ფსიქოლოგიაზე. ვისმენდი აგრეთვე ზატონ ივანე ჯაკუახიშვილის ლექციეზს საქართველოს ისტორიის შესახებ...“*

- წერდა მედეა ლამბაშიძე დღიურში.

საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიის შემდგომ ლამბაშიძეების ოჯახი საფრანგეთში გადავიდა საცხოვრებლად. გადასახლება გაუსაძლისი გახდა მათთვის. მედეას ძმამ გივი ლამბაშიძემ ვერ გაუძლო ემიგრაციაში ყოფნას და სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა. თავად მედეა კი თავის ხიფათში ჩაგდებას არ მოერიდა, გარისკა და ერთი წლით თბილისშიც კი დაბრუნდა... მ. ლამბაშიძე სრულყოფილად ფლობდა ფრანგულ, ინგლისურ და იტალიურ ენებს, ამის წყალობით მან პარიზში ბანკში მოახერხა მუშაობის დაწყება და მთელი ოჯახის შენახვის სიმძიმე დიდი ხნის განმავლობაში საკუთარ მხრებზე იტვირთა. მედეას მამა ვახტანგ ლამბაშიძე ხანგრძლივი დროის განმავლობაში იყო საფრანგეთში ქართული სათვისტომოს თავმჯდომარე (იგი სამჯერ აირჩიეს ამ თანამდებობაზე), II მსოფლიო ომის დროს ქართველი სამხედრო ტყვეებისა და ემიგრაციის დასაცავად მისი თავმჯდომარეობით შეიქმნა “ქართული ეროვნული კომიტეტი საფრანგეთში“. მედეა აქტიურად იყო ჩართული ამ ორგანიზაციის მუშაობაში და ასრულებდა მდივნის მოვალეობას. იგი სიცოცხლის ბოლომდე ემსახურებოდა ქართული კულტურის პოპულარიზაციას.

მედეა ლამბაშიძე 1976 წელს გარდაიცვალა. დაკრძალულია პარიზის მახლობლად, ლევილის ქართველთა სასაფლაოზე.

## THE FIRST STUDENT

The first student to submit an application to the University in 1918

was Medea Ghambashidze.

Medea was a daughter of a celebrated Georgian physician Vakhtang Ghambashidze and the first teacher of the English language Wanda Hoppe Ghambashidze. She was born in 1899.


Medea Ghambashidze wrote in her diary:

*'I applied to the Faculty of Philosophy. I was so impatient to attend all the lectures. My first experiences are connected with the lecture delivered by Akaki Shanidze. Upon his advice I began to learn Armenian. After attending three classes, I moved to Arabic. I began to learn Sanskrit under the tutorship of Giorgi Akhvlediani. I enjoyed learning Eurymuli. I also remember lively lectures of Shalva Nutsubidze and tender, interesting lectures on psychology delivered by Dito Uznadze. I also attended the lectures of Ivane Javakhishvili on Georgian History.'*

After Georgia's annexation by Russia, the Ghambashidze family emigrated to France. The move became insupportable for the family. Incapable of tolerating life in emigration, Medea's brother, Givi Ghambashidze committed suicide. As for Medea, she did not hesitate to risk her life and managed to come to Georgia for a year...M. Ghambashidze spoke French, English and Italian fluently, due to which she managed to find a job in a Parisian bank and the hardships of supporting the whole family entirely weighed on her shoulders for quite a long time. Medea's father, Vakhtang Ghambashidze was the chairman of the Georgian community in France (he was elected to the post three times). He chaired the 'Georgian National Committee', formed during World War II for the protection of Georgian war prisoners and the immigration. Medea took an active part in the work of the organisation, acting

დედასთან ერთად


Medea with her mother



## უნივერსიტეტის რექტორები

1989 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს მისი დამაარსებლის ივანე ჯავახიშვილის სახელი მიენიჭა.

პეტრე მელიქიშვილი - 1918 - 1919  
ივანე ჯავახიშვილი - 1919 - 1926  
თედო ღლონტი - 1926 - 1928  
მალაქია ტოროშელიძე - 1928 - 1930  
ივანე ვაშაყმაძე - 1930 - 1931  
ალექსანდრე ერქომაიშვილი - 1931 - 1932  
ლევან აღნიაშვილი - 1933 - 1935  
კარლო ორაგველიძე - 1935 - 1937  
გიორგი კიკნაძე - 1937 - 1938  
დავით ყიფშიძე - 1938 - 1942  
ალექსანდრე ჯანელიძე - 1942 - 1945  
ნიკოლოზ კეცხოველი - 1945 - 1953  
ილია ვეკუა - 1953 - 1953  
ერმილე ბურჭულაძე - 1953 - 1954  
ვიქტორ კუპრაძე - 1954 - 1958  
გიორგი ძონენიძე - 1958 - 1959  
ევგენი ხარაძე - 1959 - 1966  
ილია ვეკუა - 1966 - 1972  
დავით ჩხიკვიშვილი - 1972 - 1980  
ვაჟა ოკუჯავა - 1980 - 1985  
ნოდარ ამაღლობელი - 1985 - 1991  
თამაზ გამყრელიძე - 1991 - 1991  
ოთარ ჯავახიშვილი - 1991 - 1991  
როინ მეტრეველი - 1991 - 2004  
რუსუდან ლორთქიფანიძე - 2004 - 2006  
გიორგი ხუბუა - 2006 - 2010  
ნუგზარ სურგულაძე - 2010  
ალექსანდრე კვიციანი - 2010 - დღემდე



## პირველი რექტორი

1918 წლის 13 იანვარს თბილისის უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს პირველ სხდომაზე, ივანე ჯავახიშვილის წინადადების საფუძველზე, რექტორად პეტრე მელიქიშვილი (1850-1927) აირჩიეს. მელიქიშვილი კოლეგებს შორის ყველაზე ცნობილი მეცნიერი იყო იმ დროს. იგი თითქმის 2 წლის განმავლობაში სრულიად უსასყიდლოდ უძღვებოდა ახალდაარსებულ სასწავლებელს და უშურველად ახმარდა თავის ცოდნას, გამოცდილებასა და ავტორიტეტს პირველ ქართულ უნივერსიტეტს.

პეტრე მელიქიშვილმა 1872 წელს ექსტერნის წესით წარჩინებით დაამთავრა ოდესის უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის საბუნებისმეტყველო განყოფილება და იქვე დარჩა საპროფესოროდ მოსამზადებლად. 1873 წელს ის საზღვარგარეთ მიავლინეს. პეტრე მელიქიშვილი ორი წლის განმავლობაში მუშაობდა ტიუბინგენისა და კარლსრუეს ქიმიურ ლაბორატორიებში. მივლინებიდან დაბრუნებისთანავე ოდესის უნივერსიტეტის ქიმიურ ლაბორატორიაში დაიწყო მუშაობა. 1881 წელს მაგისტრის ხარისხის მოსაპოვებლად დაიცვა



დისერტაცია და კვლავ საზღვარგარეთ გაემგზავრა. პარიზში გამოჩენილი ფრანგი ქიმიკოსის მ. ბერთელოს ლექციებს უსმენდა, მიუნჰენში კი ცნობილი გერმანელი ქიმიკოსის ა. ბაიერის ლაბორატორიაში ეცნობოდა ახალ სამეცნიერო მიღწევებსა და ტექნოლოგიებს.

1884 წელს, პროფესორების ვერიგოს, პეტრიაშვილისა და კლიმენკოს წარდგინებით, პ. მელიქიშვილი ოდესის უნივერსიტეტის აგრონომიული ქიმიის კათედრის დოცენტად აირჩიეს. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის შემდგომ, 1885 წელს მას მიენიჭა ქიმიის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი, 1889 წელს კი კათედრის პროფესორი გახდა.

პ. მელიქიშვილი 1899 წელს ლომონოსოვის სახელობის პრემიითა და დიდი ოქროს მედლით დააჯილდოვეს. მის შრომას, როგორც „ელემენტების პერიოდული სისტემის განმამტკიცებელ გამოკვლევას“, უდიდესი შეფასება მისცა დ. მენდელეევი.

პ. მელიქიშვილი იკვლევდა ბუნებრივ ნიაღვისეულსა და სოფლის მეურნეობის პროდუქტებს. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი ნაშრომები ხორბლის, ღვინის, ყველისა და სხვათა შესახებ. ქიმიური ანალიზის შედეგად კეთდებოდა დასკვნები, თუ რა გავლენას ახდენდა ღვინოსა და პურზე ნიადაგის შემადგენლობა და კლიმატური პირობები.

თბილისის უნივერსიტეტში, რექტორობის პარალელურად, პეტრე მელიქიშვილი კითხულობდა ლექციებს, აწყობდა ლაბორატორიებს; ხელმძღვანელობდა მის მიერვე დაარსებულ ქიმიის კათედრას, ორგანული ქიმიის კათედრას, რექტორობის შემდგომ — სასოფლო-სამეურნეო ფაკულტეტს. სწორედ პეტრე მელიქიშვილის სახელთან არის დაკავშირებული საქართველოში ქიმიის მეცნიერებისა და ქიმიური სამეცნიერო ტერმინოლოგიის დამკვიდრება, უნივერსიტეტში ქიმიის დისციპლინების სწავლებისა და კვლევითი მუშაობის დანერგვა.

პეტრე მელიქიშვილი 1927 წელს გარდაიცვალა. დაკრძალეს თბილისის სახლმწიფო უნივერსიტეტის ეზოში. მისი გრდაცვალებიდან ერთი წლის შემდეგ, უნივერსიტეტის დაარსების 10 წლის საიუბილეო დღეებში, მელიქიშვილის საფლავზე საფუძველი ჩაეყარა ძეგლს, რომლის ავტორია ცნობილი ქართველი მოქანდაკე იაკობ ნიკოლაძე. იმ დღეს პირველი რექტორისადმი მიძღვნილ სიტყვაში კორნელი კეკელიძემ თქვა:

„შენ ვერ ესწრები ჩვენი უნივერსიტეტის ათი წლის დღესასწაულს, მაგრამ შენი საფლავი იგრძნობს იმ უაღრეს პატივისცემასა და სიყვარულს, რომლითაც გამსჭვალულია შენდამი შენი მოწაფე ახალგაზრდობა“.

14265  
 28151  
 12  
 1918  
 1. 1918

ს. მელიქიშვილი  
 ს. მელიქიშვილი  
 ს. მელიქიშვილი

ს. მელიქიშვილი  
 ს. მელიქიშვილი  
 ს. მელიქიშვილი

ს. მელიქიშვილი  
 ს. მელიქიშვილი  
 ს. მელიქიშვილი

ს. მელიქიშვილი  
 ს. მელიქიშვილი  
 ს. მელიქიშვილი

THE FIRST RECTOR

On 13 January 1918, Petre Melikishvili (1850-1927) was elected Rector at the first meeting of Tbilisi State University Professors' Board, at the suggestion of Ivane Javakhishvili.

**At** that time Melikishvili was the most famous scientist of all his colleagues. For almost two years he managed the newly established school absolutely for free and willingly used all his knowledge, experience and authority for the benefit of the first Georgian University.

In 1872, Petre Melikishvili took his external degree at the natural science department of Odessa University physics and mathematics faculty, where he stayed to prepare for his professorship. In 1873, he was sent abroad. For two years Petre worked in Tubingen and Karlsruhe chemistry labs. On returning from his academic trip, Petre Melikishvili started working in Odessa University chemistry

laboratory. In 1881, he defended his MSc thesis – ‘On the Products of Acrylic Acids’, and then went abroad once more. In Paris he attended lectures delivered by an outstanding French chemist M. Bertello, while in Munich he got acquainted with new scientific achievements and technologies in the laboratory of a celebrated German chemist A. Bayer.

In 1884, nominated by Professors Verigo, Petriashvili and Klimenko, Petre Melikishvili was elected Docent of Odessa University Agrochemistry Chair. In 1885, after defending a thesis, a Doctor of Chemistry degree was conferred on him and in 1889 he became a Professor of the Chair.

In 1899, Petre Melikishvili was awarded a prize and a big gold medal of Lomonosov University. His work was highly appreciated by D. Mendeleev as a research reinforcing his 'periodic table'.

Petre Melikishvili studied natural resources as well as agricultural products. In this respect, his works concerning wheat, wine, cheese and other products are particularly important. On the basis of chemical analysis he made conclusions regarding the impact of the soil composition and climatic conditions on wine and bread.

In Tbilisi University, besides being the Rector, Petre Melikishvili delivered lectures, organised labs; headed the Chemistry and Organic Chemistry Chairs which he had founded himself and, after his rectorship, the Agricultural Faculty. It was he who established the science of chemistry and its scientific terminology and who initiated teaching chemistry disciplines and maintaining research work.



Petre Melikishvili was buried in the university garden. A year after his death, during the tenth anniversary celebrations of the university foundation, on Melikishvili's grave the foundation was laid for the monument, the author of which is a famous Georgian sculptor Iakob Nikoladze.

In connection with this fact, in his speech dedicated to the first rector Korneli Kekelidze said:

'You are not able to attend the tenth anniversary celebration of our university, but your grave will feel the profound respect and love which students have towards you.'

პეტრე მელიქიშვილი  
მონაფეებთან და  
ახალგაზრდა კოლეგებთან  
ერთად.

Petre Melikishvili with his pupils  
and young colleagues

